



თავისუფალი საქართველო

მრავალი მადონის
სახორბალოვანი-პოლიტიკური გაზეთი

28 VI 1991

№ 23 (28)



356238 35623406 უიტი

24 0360სს რედაქციაში დაგვი-
რეკეს აღმოფთვებულმა მოქალაქე-
ებმა. მათ შეგვაცხადებინეს, რომ
რამდენიმე საათით ადრე კახიანის
სახელობის ამიერკავკასიის რკინ-
იგზის სავაჭროდარბაზში სპეკულანტს,
რომელიც წლების მანძილზე დაღი-
სებულ სტაციონარში, გასაყიდ-
ად მიუტანია გერმანული (ან ავსტ-
რიული) წარმოშობის არცთუ დი-
დი ზომის ყუთები, რომლებშიც
ილი სხვადასხვა სახის პროდუქტი:
სოსისი, ვაფლი, ფორთოხლისა და
გრეფრუტის წვენი, ჭაბი, კა-
რაქი, ერთგვარიდ მოხმარების რა-
მდენიმე ყავის პაკეტი, შაქარი, შო-
კოლადი და სხვ. ერთი ყუთი ღირ-
და 50 მანეთი. სპეკულანტს არ
დაუმალავს, რომ ყუთები სტიქიით
დაზარალებულთა ფონდიდან იყო,
თუმცა მასაც რომ არ ეთქვა, ამგ-
ვარი აზრი მაინც გაუჩნდებოდა ნე-
ბისმიერ აღიქმის, რადგან ყველა
პროდუქტი მცირე რაოდენობით
იყო დაფასოებული და ბუნებრივ
ეკეს ბაღებში, რომ განკუთვნილი
იყო აღიქმისთვის, რომლებსაც
არა აქვთ ზანგარლივი დროის მან-
ძილზე პროდუქტის შენახვის სა-
შუალება.

რეაგირების ყველაზე მარტივი
გზა იქნებოდა სპეკულანტის მონა-
ხვა, რომელიც დასახელებდა
(ან არ დასახელებდა) პირს, ვის-
განაც მიიღო უცხოური ყუთები,
ვამხელდით (ან ვერ ვამხელდით)
იმ პირს, დაეკერდით ქორეაქტის
და იმ ღამეს არხიანად დაეიძინებ-
დით, რაკი ერთი კარგი საქმე გა-
ვაკეთეთ და წესრიგიც დავამყარეთ.
ჩვენ მაინც სხვა გზა ვარჩიეთ.

გადაწყვეტილ გავფრქვივა, თუ რა
მექანობშია შემუშავებული სტიქი-
ით დაზარალებულთა დახმარების
ფონდის განაწილებისა და კონტრ-
ოლისათვის.

25 ივნისს მივაშურეთ ჯანმრთე-
ლობის დაცვისა და სოციალურ-
ეკონომიკის სამინისტროს. მინისტრ-
მა რამდენიმე წუთით გავასწრო,
ხოლო მინისტრის თანაშემწემ შე-
გვაცხადებინა, რომ სამინისტრო მხო-
ლოდ მედიკამენტებს ანაწილებს,
ხოლო სურსათის განაწილებას ხე-
ლმძღვენივალს საქართველოს რე-
სპუბლიკის ჯანმრთელობისა და მო-
წყობის საქველმოქმედო ფონდი
და წითელი ჯვრის ორგანიზაცია.

ჩვენც მოწყობის ფონდისკენ
გავიქცეთ. ვესაუბრებოთ ფონდის
თავმჯდომარეს ბატონ თემურ თო-
შარბიას.

— ბატონო თემურ, რა შექანა-
შია შემუშავებული მიწისძვრით
დაზარალებულ რაიონებში დაზარ-
ალებულთათვის სურსათის განა-
წილება? რა პრინციპით ნაწილ-
დება შემოსული ტვირთი?

— მოგახსენებთ. პროდუქტების
გეგმავობით მიღება-განაწილების
მიზნით მიწისძვრით დაზარალებულ
რაიონებში მოსახლეობისათვის სა-
ქართველოს ჯანმრთელობის დაც-
ვისა და მოწყობის ფონდმა (იგი
დამოუკიდებელი ორგანიზაციაა) შე-
ქმნა საგანგებო შტაბი, რომელშიც
შედიან ხელმძღვანელი პირები, ჯან-
მრთელობის დაცვისა და სოცურ-
რუნველყოფის სამინისტროს თანა-
შემოქმედებით. შტაბის თავმჯდომარეა
ქალბატონი მანანა ძოძუაშვილი.
მისი მოადგილეა ბატონი როლანდ
შებურიშვილი, თქვენი მონა-მორჩილი
თემურ თოფურია, მამუკა გორგოძე
(სააფთიაქო სამმართველოს უფროსი),
გურამ შარაძე (ივანე მინაბლ-
ის საზოგადოების თავმჯდომარე), თამაზ
ბერიძე (მოწყობის და ჯანმრთე-
ლობის ფონდის თავმჯდომარის
მოადგილე) და სხვები. შტაბის წევ-
რების მიერ შემუშავებულია გე-
გმა, რომლის მიხედვითაც განაწილ-
და საკვები პროდუქტები (აქვე
მისურს აღენიშნა, რომ ჩვენ მხო-
ლოდ საკვები პროდუქტებით ვამა-
რაგებდით მოსახლეობას). 15 ივლ-
ისს 13 სთ.ზე წინასწარი ერთთვი-
ანი მოლაპარაკების თანახმად, სა-
ქართველოს მოწყობის და ჯანმ-
რთელობის ფონდის სახელზე ჩამო-
ფრინდა თვითმფრინავი, რომელმაც
ჩამოიტანა გერმანიიდან ჰუმანიტარ-
ული დახმარების ორგანიზაცია
კერის მიერ შექმნილი 3024 ყუთი
ყვების პროდუქტი. მათ ჩამოიტა-
ნეს ძეხვე, რძის ფხვნილი, ყავა,
კონსერვები, შაქარი და სხვა სახ-
ის სასურსათო პროდუქტი. თითო
ყუთში მოთავსებულია ერთი კვი-
რის სამყოფი 11 კგ. საკვები, რომე-
ლიც გათვალისწინებული იყო 4-
სულანი ოჯახზე. წინასწარი მოლა-
პარაკებით პროდუქტების გადაცე-
მა გამიზნული იყო სამაჩაბლოდ-

ან ლტოლვილთათვის, მაგრამ ვინ-
აიდან 15 ივნისს ძლიერ დაზიანდა
გორის რაიონის სოფლები, გადაე-
წყვიტეთ ჩვენს მიერ შემუშავებულ
განაწილების გეგმაში შევიტანა
ცვლილებები და აღნიშნული ტვი-
რით, საქველმოქმედო საზოგადოება
„კერის“ წარმომადგენელთან შეთან-
ხებით სასწრაფოდ გადავგზავნეთ
გორში. გორის პრეფექტმა ბატონ-
მა ომარ ჩუბინიძემ სპეციალური
სიის თანახმად (რომელიც შედგე-
ნილი იყო დაზარალებული სო-
ფლის თავკაცების მიერ), სათითა-
ოდ გადასცა ყველა დაზარალებუ-
ლი ოჯახს. ეს ზღვებდა გერმანიის
წარმომადგენლების თანდასწრებით.
გორის პრეფექტის, ჩვენი და გე-
რმანიის საქველმოქმედო ფონდის
დახმარებით ორი დღის განმავლო-
ბაში 40 ტონა სურსათი უკლებლ-
ივ დაეპირებოდა.

— ეს ტვირთი მოწყობის ფონ-
დმა განაწილა, რომელიც დასავ-
ლეთ საქართველოსთვის არის გა-
ნკუთვნილი?

— ჩვენ მხოლოდ საყოფაცხოვრ-
ებო ნივთები ჩაუტარებთ ონში და
საჩხერეში. საკვები პროდუქტები
არ გაგვიანაწილებია.

— ხომ არ იცით ვინ განაწილა?

— არ ვიცი. წარმოდგენა არ
მქვს.

— თქვენის აზრით, შესაძლებე-
ლია თუ არა, დაზარალებულთათ-
ვის უცხოეთიდან შემოსილულმა
ტვირთმა არ მიადგინოს დაზარა-
ლებულთა და რაღაც ხერხით გა-
იყიდოს ხალხში?

— შეუძლებელია. პირადად მო-
წმე ვარ სურსათის მიღება-განაწი-
ლებისა და შემდგომ დაზიანებულ
რაიონებში დარიგებისა. შეიძლე-
ბა მოსახლემ გაყიდოს, ან აჩუქოს
ვინმეს ყავა და ეს განაგებდით
(არ უყვარს შეიძლება).

— ბატონო თემურ, მაგრამ არა
მთელი ყუთი...

— რა თქმა უნდა, ქართულ ოქ-
ანში აღზრდილი ამგვარ უზნეობას,
ალბათ, ვერ დაუშვებს, მით უმეტ-
ეს, გაყიდვას ამ რთულ დროში. არა,
ჩემთვის ეს დაუფრებელია. საამი-
სოდ მიზნობრივი იყო ყველა
სახის საქართველოს სამსახური.
პორტი, შინაგან საქმეთა სამინისტ-
რო, ქართული მილიციის მუშაკე-
ბი დაგვეხმარონ ტვირთის გადმო-
ზიდვაში. ტვირთის მიღებისა და
რეგისტრაციის გავრცელების საქმე-
თში დროულად მოგვარდა საქარ-
ველოს სამოქალაქო ავიაციის სამ-
მართველოს მიერ, ხოლო ღონისძი-
ებისათვის ტრანსპორტი გამოყო
საქართველოს რესპუბლიკის ტრან-
სპორტის სამინისტრომ. საქართვე-
ლოს საქველმოქმედო მოწყობისა და
ჯანმრთელობის ფონდის წესდებ-
ის თანახმად და ჯანმრთელობის
და სოცურრუნველყოფის სამინისტ-
როს ქ-ნი მანანა ძოძუაშვილის და-
ხმარებით ეს ღონისძიება ეფექტ-
ურად ჩატარდა. გერმანელები შე-
მდგომ დახმარებას ივლისის შუა
რიცხვებში დაგვიბრუნენ.

თვითმფრინავიდან სურსათის მი-
ღებას აკონტროლებდნენ სხვადა-
სხვა დაწესებულებათა მუშაკები:
სახელმწიფო უშიშროების კომიტე-
ტიდან, შინაგან საქმეთა სამინისტ-
როდან, ჩვენი მოწყობის ფონდი-
დან, გერმანელები ჩვენთან ერთად
აწყობდნენ სათითაოდ ყუთებს მა-
ნაქანებში: გორში სპეციალური სი-
გების მიხედვით თვითონ ხალხში და-
რიგდა მათთვის განკუთვნილი ტვი-
რთი. 18 დაზარალებული სოფლი-
დან 8 სოფელს ჩვენმა ფონდმა დაუ-
ბრავა სურსათი, ხოლო დანარჩენ
10-ს — გორის პრეფექტის მიერ
შექმნილი სპეციალურმა შტაბმა.

ბატონ თემურ თოფურიასთან
შეხვედრის შემდეგ ჩვენივეს ცხა-
დი გახდა, რომ არავითარი აზრი არ
ექნებოდა წითელი ჯვრის საზოგად-
ოებაში მისვლას, რადგან იქაც ამა
თუ იმ კონკრეტულ საკითხზე დაგ-
ვიწყებდნენ საუბარს და ჩვენი ძი-
რითადა კითხვა უპასუხოდ დარჩე-
ბოდა. ამიტომ გავეშურეთ საქარ-
ველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს ჰუმანიტარულ და სოცია-
ლურ საკითხთა კომისიაში ვესაუბ-
რებოთ კომისიის თავმჯდომარეს ბა-
ტონ რომანოვს 23 ივნისს.

— ბატონო რომანოვ, რა შექა-
ნიშია შემუშავებული მიწისძვრით
დაზარალებულ რაიონებში ხერხა-
თის დახმარებულად? რა პრინციპით
ნაწილდება შემოსული ტვირთი?

— მართალია გითხრათ, ამგვარი
მექანობი თუ არის შექმნილი, არ
ვიცი. ისე, მთავრობას და იმ სა-
მთავრობო სპეციალურ კომისიას,

რომელიც არის ქუთაისში, უნდა
შემუშავებინა. მას სათავეში ედგა,
ალბათ, ახლაც იგი განაგებს ამ სა-
ქმეს, ქუთაისის პრეფექტი ბატონი
არჩილ კოსტავა. უნდა შექმნილიყო
სპეციალური კომისია, რომელიც
იმუშავებდა არა მარტო სურსათ-
ისა და მედიკამენტების განაწილე-
ბაზე, არამედ სამშენებლო მასა-
ლების გეგმავობითა და მოხმარებ-
ისათვისაც. მოგახსენებთ, ყველაზე
დიდ პრობლემად დღეს მინეულია
სამშენებლო მასალათა საკითხი.
მასზე თვალყურის დევნება ზღვდა
ქუთაისში.

— ე. ი. როგორც ვაფიქვ, მიწის-
ძვრით დაზარალებულთა საკითხ-
ის უმრავლესობა იხილება და საბ-
ოლოდ წესდება ქუთაისში?

— დიან. თბილისში, ფაქტობრი-
ვად, არ არის დაზარალებულთათვის
ცენტრალიზებული გამგებლობა
(პირადად ვუწოდებ). თუ რაიმე
მოდის დასახმარებლად, იგზავნება
პირდაპირ ქუთაისში.

— ქუთაისიდან თუ გაწვდომ და-
ზარალებულთათვის რაიმე საგანგ-
ებო სამთავრობო გეგმას, რომლის

— არის რაიმე შემთხვევები, სა-
ზღვარგარეთიდან შემოტანილი სპე-
ციალური ერთგვარი დახმარებით
ყუთების სპეკულაციურ ფაზაში
გაყიდვისა. თბილისის რკინიგზის სა-
ავადმყოფოებში თითო ყუთი იყო-
დებოდა 50 მანეთად.

— ამგვარი საკითხები შინაგან
საქმეთა სამინისტროს კომპეტენცია-
შია შედის. მსგავს საკითხებს
ჩვენ ვერ ვსდევთ.

— ბატონო რომანოვ, მე მაინც
მგონია, რომ ერთი და თუნდაც
ახი ქორეაქტის დაკვირვით და საგა-
მიძობო ორგანიზებში საკითხთა
გადაცემით საერთო სიტუაცია არ
შეიცვლება. იმიტომ გვფიქრობთ,
რა შექანაშია შემუშავებული გა-
რეკრუბული ხალხში პროდუქტ-
ების უნაკლოდ უდანაკარგოდ და-
რიგებისათვის. რაღაც საგანგებო
ნუსხა ხომ უნდა გქონდეთ უზენა-
ესი საბჭოს ჰუმანიტარულ და სო-
ციალურ საკითხთა კომისიის თავმ-
ჯდომარეს?

— დასავლეთ საქართველოში
ჩასვლისთანავე, პრეფექტებს
განუვცხადებ, რომ საქართველოში


— როგორც ვიცი, რკინიგზის
სავაჭროდარბაზის ერთ-ერთი თანაშ-
რომელი, პროფესიით ექიმი, რომ-
ელიც ამავე დროს გახლავთ უზენა-
ესი საბჭოს წევრი და მიწისძ-
ვრით დაზარალებულთა საკითხების
კომისიის წარმომადგენელი, ჩაყე-
ნეს საქმის კურსში, შეატყობინეს
სპეკულაციის ეს ფაქტი.

— იცით, ჩვენ რამდენჯერმე შე-
გვაცხადებინეს რამდენიმე შემთხვე-
ვა, ვითომ სხვადასხვა ნივთები თუ-
რქაში გააქვთ და ყიდიანო, მაგ-
რამ საბუნდოვანოდ არც ერთი მათ-
განი მართალი არ აღმოჩნდა და არც
შეიძლება მართალი რომ ყოფილიყო.
ეს უბრალოდ მოთარული ჭირია.

— ბატონო რომანოვ, ეს შემთხ-
ვევა ჩვენს სავალალოდ, ალბათ,
გამონაკლისია. ყუთი ნაყიდი, ხო-
ლო ხსენებულმა დებუტატმა მამ-
ხილბელს უთხრა: შეატყობინეთ
შინაგან საქმეთა სამინისტროს, ბატონ
დილარ ხაბულიანსო.

— ჩემთვის გასაგებია, თქვენ რა-
საც ამბობთ, ე. ი. ყოფილათეს პრო-
ბლემა. არის, ალბათ, ვიღაც უნა-

ოკუპაცია „ყუთი“



მხედვითაც იხინ ხელმძღვანელო-
ბენ?

— რა თქმა უნდა არსებობს. ჩვენ
რამდენჯერმე ჩავედი, სპეციალუ-
რად დაგინტერესდით და ყველა სა-
კუბოროტო პრობლემა განვიხი-
ლეთ. ჩვენს იქ ყოფნის ესწრებოდ-
ნენ დაზიანებული რაიონების პრე-
ფექტები და სხვადასხვა სამსახურ-
ის წარმომადგენლები. ახლა მთა-
ვრობამ შეიმუშავა სპეციალური კო-
ორდინაციური გეგმა-გრაფიკი, რომე-
ლიც ყველა სამინისტროზეა და-
წინილებული, თუ სად, როდის და
რა მასალა არის საჭირო ამა თუ იმ
რაიონისათვის. ამ გეგმით ჩვენ ჩა-
ვალთ და საბოლოოდ უკვე აღვიღებ
განვანდორცილებით ყველაფერს.

— მაინტერესებს, დაზარალებუ-
ლთათვის მთავრობის მიერ შემუშ-
ავებული სამშენებლო გეგმა-გრა-
ფიკის მხატვრად თუ არის შემუშა-
ვებული კონკრეტული გეგმა-გრაფ-
იკი ხერხათის დახმარებულად?

— მომეცით უფლება ვთხროთ,
სურსათით რატომ ხართ ასე დაინ-
ტერესებული?

გაიცეს მართალი და ზუს-
ტი ინფორმაცია რადიოსა და პრეს-
ის საშუალებით ხალხში ექვისა და
შისი გასაქარწყლებლად. ყველა-
სათვის საჭირო ადვილს უნდა ყო-
ფილიყო ნუსხა, ვის რა გადაეცა
და რა რაოდენობით (მე ივანე გა-
ნუცხადებ რადიოს საშუალებით).

— ე. ი. ამგვარი ნუსხები არხე-
ბობს?

— როდესაც მორიგი ჩასვლისას
მოვიხილავთ დაზარალებულთა
მართალია, ამგვარი ნუსხები გარეთ
გამოკრული არ იყო, მაგრამ ვისთა-
ნაც მქონდა საუბარი, ყველამ გან-
აცხადა, რომ აქვე სპეციალური
ურნალი, რომლის მიხედვითაც
შესაძლებელია გავგებ, თუ ვის რა
მანეთი და რა რაოდენობით მიეცა
მოსმარების ნივთი ან პროდუქტი.
რასაც თქვენ ბრძანებთ, რა თქმა
უნდა, აუცილებელი და საჭიროა,
მაგრამ თქვენ მოგახსენებთ, თუ
როგორ რთულ პირობებში გვიხი-
ნება შეიძლება. შეიძლება ითქვას,
დღეს, მომტობრივად, მთელი ერთ
ვართ ჩამბული სტიქიურ უბედუ-
რებასთან ბრძოლაში.

მუსო, ან უნამუსოთა ჭგუფი, რომ-
ელიც სწილიან უღირს საქციელს.

— მე მაინც დაგუბრუნდები
ჩვენს პირვანდელ თემას, მასხადამე,
ტვირთი თავდაპირველად პრეფექტ-
ებს გადაეცემა?

— სიმართლე გითხრათ, ჩვენ ამ
პროცესს ვერ ვაკონტროლებთ. ეს
აღმასრულებელი ორგანოების საქ-
მეა. თვალყური უნდა ედევნებოდეს
სხვადასხვა სამინისტროების
მიერ, კერძოდ მშენებელთა და არ-
ქიტექტორთა, ვაჭრობის (სურსათ-
პროდუქტების გარკვეული საკითხე-
ბი), შინაგან საქმეთა სამინისტროს,
მატერიალური რესურსების (სადა-
ც შედის რესურსები), წითელი
ჯვრის, ჯანმრთელობის დაცვისა და
სოცურრუნველყოფის სამინისტრო-
ების მიერ. ამ სამინისტროებს დავა-
ლებული აქვთ დაზარალებულ რაი-
ონებს მიაქციონ გამორჩეული ყუ-
რადლება.

— და მაინც ხერხდება დაზარა-
ლებულთათვის გამოყოფილი ლუკმის
უიღვა-გაყიდვა?

ბატონო რომანოვ, ჯანმრთელო-
ბის დაცვისა და სოცურრუნველყო-

...რატომ საქართველო გავსდეს ისეთივე ბრწყინვალე, როგორც იყო

ფის ხაზინებში განაგებს დაზარალებულთა მხოლოდ მედიკამენტებით მომარაგებას. როგორც მინისტრის თანაშემწემ ბრძანა, ისინი არ ანაწილებენ ხურხას და არ არიან ხაქმის კურსში. ამის მიუხედავად ქალბატონი მანანა ძოჭვაშვილი ბრძანდება საქართველოს რესპუბლიკის განმარტებლობისა და მოწყალეობის საქველმოქმედო ფონდის (რომელიც მხოლოდ ხურხათით ამარაგებს გორის რაიონს) ხელმძღვანელ დახმარების შტაბის თავმჯდომარე. როგორც ეს მისმა თანაშემწემ ბრძანა, ხაზინებში არ ეხება ხურხათის განაწილება. თქვენი აზრით, რით შეიძლება ამ ვითარების აღწერა?

ცალკე გამოტანილი გასაყიდად დაბრუნდით კვლავ „განთავად“ დირექტორს მოვითხოვეთ დაესახელებინა ყუთის მიმტანის ვინაობა. ეს შეუძლებელია, გვიპასუხა დირექტორმა, საქონელმცოდნე ატარებს რეგისტრაციას შემოსულ საქონელს, საქონელმცოდნე კი არ არის. ჩვენს მოთხოვნაზე, დაურეკეთ, მოვიდეს, გვიპასუხა, ტელეფონი არა აქვს, სადაც მასივში ცხოვრობს, შეიძლება რაიმეშიც კი იყოს წასული. ასე რომ, საქონელმცოდნის ნახვის იმედი ვაღაპრებურა, მოდი თორღე და ყველაფერს გეტყვი, ისე ამ ერთი ცალის მეტი ნამდვილად არა გეტყვია, თუ არ გჯერათ, მობრძანდით, შეიხედეთ დახლის ქვეშ, დარწმუნდით...

— არა, ბატონებო, ჩვენ ჩხრეკას ვერ დაგვიწყობთ, ახლა დაგურავთ ჩვენს თანამშრომელს და მოიტანს ყუთს, რომელიც აქ შეიძინა ცოტახანში ჩვენი თანამშრომელი ყუთიანად იქ იყო. — ხოთ, რა მოხდა მერე, გამყიდველს შეეშინდა (სეტყვ რატომ? რა არის შესაშინებელი იმაში, რომ გასაყიდი საქონელი მაღალბაში შეიძლება იყოს არა მრავალბაში, არამედ მხოლოდ ბით რიცხვში) და იტყვა, ვა არაფერი, ჩვენ მზადა ვართ დაგეხმაროთ, თუ კიდევ მოიტანეს ასეთი ყუთი, ჩვენს ყველაფერს თათხში მის მომტანს და სასწრაფოდ დაგირეკავთ. სხვათა შორის, ამ ერთი კვირის წინ მოვიდა ჩვენთან ერთი ოფიცერი, მოიტანა ერთი ასეთი ყუთი და მითხრა, ათი ცალი მაქვს, 100 მანეთად თუ მიიღებთ თითოს, დაგტოვებო. ჩვენ უარი ვუთხარით და გავისტუმრეთო.

წამოვედით მაღალბიდან ასე ხელმოცარულნი, რედაქციაში ჩვენი დაბრუნებიდან ნახევარ საათში დარეკა ტელეფონმა და მაღალბის დირექტორმა, ბატონმა გურამ ქვეკერელიძემ გვანახა — საქონელმცოდნე მოვიდა! დაგადგინეთ ყუთის მომტანის ვინაობა. ეს ყოფილა ვინმე ახალთა მურთაზ დავითის ძე, ტაქსის მძღოლი და კვლავ ჩოქრად გაიმეორა, რომ ორადიორი ყუთის მეტი არ შეგვიღიაო. რას არ გაიგონებს ადამიანის ყუთი! სულ ცოტა ხნის წინ მხოლოდ ერთადერთი ყუთი ჰქონდათ, ჩვენი თანამშრომლის მიერ შეძენილი ყუთის გამოცხადების მერე ორადიორი გახდა... ყუთების რაოდენობამ ფეხი აღარ იცვალა. ორადიორი იყო, მოჩინა და ვათავდაო. საინტერესოა, ერთი დედალი, ჩვენი რედაქციის თანამშრომელი ვაქის, დადების და სხვა უბნების კომერციულ მაღალბებში დადიოდნენ, მაგრამ ასეთი ყუთები არ უნახავთ.

რამაი საქმე? არ გიცით, მხოლოდ ერთ ბატარა ლეტალს აღწინაწი: ჩვენი „განთავად“ შერაბ კოსტავას სახელობის საადგილმშულო ფონდთან არსებული ასოციაცია „ხერთვისის“ გამგებლობაშია...

როგორც ვხედავთ, „თავისუფალი საქართველო“ რედაქციის თანამშრომელთა რამდენიმე დღიანმა მცდელობამ, რათა გავგვრავთ ვერ ერთი — რა შედეგზემ არსებობს მიწისძვრით დაზარალებულთათვის დახმარების ფონდის განაწილებისა და კონტროლისათვის, ხოლო მეორეს მხრივ — სპეკულაციის ერთი კონკრეტული ფაქტის ძირი გამოგვესაჩვენებინა; სამწუხაროდ, უშედეგოდ ჩაიარა. არც იმის „ხმა-მალღამა“ განცხადებამ გაჭრა, რომ „თავისუფალი საქართველო“ მრავალი მაგიდის (ანუ მმართველი პარტიის!) გახვითა.

რედაქცია დაქინებით მოითხოვს, რომ შესაბამისი უწყებები დაინტერესდნენ, ერთის მხრივ, იმ ზოგადი პრინციპებით, რომლებიც საფუძვლად უნდა ედოს დახმარების ფონდების განაწილებას და კონტროლს, ხოლო მეორეს მხრივ — სამართალდარღვევის კონკრეტული ფაქტებით.

აგრეთვე, დაქინებით მოვითხოვთ ჩატარებული მუშაობის შედეგები შეტყობინონ რედაქციას, რათა მთლიანი გახდეს ფართო საზოგადოებისთვის.

პუბლიკაცია მოამზადა თანამა ცეცაძემ

20 წლის ძაღლი დაზარალებულ ჩვენი რესპუბლიკის მიმართ გაყვული ჰუმანიტარული დახმარების გეოგრაფიული წრე თანდათან ფართოვდება. ამ რამდენიმე დღის წინ საქართველო-თურქეთის საზღვარზე გადმოვიდა იტალიის მიერ თურქეთის საზოგადოების მიერ გამოცხადებული სატვირთო ავტომანქანა. მანქანაში დაახლოებით 20 ტონამდე სხვადასხვა სახის ტვირთია. მათ შორისაა საკვები პროდუქტები — ბრინჯი (1 ტონა), რძე (3 ტონა), მაკარონი (1 ტონა). საყურადღებოა, ზამთრის ტანსაცმელი (2 ტონა), ტანსაცმელი (400 კგ.), ფეხსაცმელი (1 ტონა), შალის ქსოვილი (500 კგ.), ერთჯერადი შპრიცი (500 კგ.). ექსპერტთა საერთაშორისო აზრით, რომ რაოდენობრივად ეს ყველაზე დიდი ტვირთია, რომელიც საზღვარგარეთიდან მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების სახით ჩამოვიდა, ამასთან აღნიშნავენ, რომ ეს ტვირთი ზარის-ზომრივად აღემატება უცხოეთიდან ჩამოსულ საქონელს (კერძოდ, ტანსაცმელი, ქსოვლები წარმოადგენს სრულიად ახალ და შესანიშნავ ნაწარმს). მონალონდელია, რომ დახმარების ნაკადი იტალიიდან არ შეწყდება. ახლა მომავალში უნდა ჩამოვიდეს ახალი მანქანა.

რასაკვირველია, არსებითი არ არის მხოლოდ ტვირთის რაოდენობა და ხარისხი. ამ სახის ნებისმიერ დახმარებას აქვს მორალური მნიშვნელობა, რაც ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ამჟამად, როდესაც გარკვეულ ძალებს სურთ საქართველოს დისკრედიტაცია საზოგადოებრივი აზრის წინაშე. ამით ცდილობენ ჩვენს ხალხს დაუფლოს გრძობა, რომ ის განწირულია და მისი არ უნდას გაერე სამყაროს. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებით მაღალფასობს ვართ იმ ადამიანების, რომლებიც ვითანაგრძობენ და იზიარებენ ჩვენი ხალხის გაჭირვებას. მიწისძვრით დაზარალებულთათვის დახმარების ჩამოტანის ორგანიზაციის წევრად დიდი რაოდენობის ადამიანთა ენერჯისა და უნაღობის მოთხოვნა.

მადლობას იმსახურებს ქალბატონი მარია პია ფანფანი და იტალიაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე ქალბატონი ქეთევან ბაგრატიონი. ოთხი ბატარა შვილის დედამ იტალიაში მისია, რათა დაიცვას საქართველოს ინტერესები იტალიაში და კოორდინაცია გაუწიოს დახმარებას. იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან მკაცრად მუშაობის ჩვენს ქვეყანასა და იტალიას შორის, აქვს რა მუდმივი კონტაქტები საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ ქალბატონი ქეთევანი დამსაბურველი ავტორიტეტით სარგებლობს იტალიის პოლიტიკურ და საქმიან წრეებში.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლაქსიკონი

კონტრაქტუარა

1969 წელს გამოვიდა ამერიკელი სოციოლოგის ბ. როსენის წიგნი „კონტრაქტუარის შექმნა“ და ამით სოციალური მექანიზმების სფეროში ახალი იდეა, ხოლო სოციალურ მექანიზმებთან უკავშირებით ახალი ტერმინი შევიდა. 1970 წელს ამის მოკლე რეზიუმე „ამერიკის შეწყვეტილი და იწყებული“ და ამ წიგნებით დაიწყო კონტრაქტუარის, როგორც ახალი იდეოლოგიური-კულტურული მოვლენის შექმნა, სისტემური ჩამოყალიბება და აღსანიშნავი ფილოსოფიური-მეტაფიზიკური ნაშრომები ბესტსელერებად იქცა და ფართო გამოხმაურება ჰქონდა საზოგადოებაში.

ზოგადად კონტრაქტუარა არის საზოგადოებაში გამბატონებული კულტურის ალტერნატივა, დასავლურ კულტურაში გამბატონებული ფუნდამენტური პრინციპების სწინააღმდეგე სოციალურ-კულტურული მოძრაობა, შეამოხვ „ნონკონფორმისტი“ ახალგაზრდების მიერ თანამედროვე დასავლური კულტურის, მემების კულტურის მიუღებლობა, რადიკალური ოპოზიციის ტექნიკური საზოგადოების მიმართ.

კონტრაქტუარა არის თანამედროვე კულტურის, მთელი მისი ტრადიციების, დასავლური კულტურისა და, საერთოდ, ყოველგვარი კულტურის საწინააღმდეგე იდეა, დომინანტური კულტურის ოპოზიციური სუბკულტურა.

კონტრაქტუარის ფენომენის შესახებ საუბარი აუცილებლად მოითხოვს იმ სოციალური ფონის ჩვენებას, რომელიც 60-იანი წლების ბოლოს შეიქმნა დასავლეთში და რაზედაც ის აღმოცენდა.

ნეოპრეკლუსიული ფრანკფურტის სკოლის ერთ-ერთი თვალსაზრისით წარმომადგენლის, ვერნერ ჰელმუთის სოციოლოგის ჰერმანტ მარკუსის წინასწარმეტყველებას ახალგაზრდობაზე, როგორც თანამედროვეობის ყველაზე რევოლუციური ძალაზე, მართალი აღმოჩნდა. ახალგაზრდობის მოძრაობამ შეახანხრა დასავლეთის სამყარო.

მუშაობა კლასის შექმნაზე და დამოკიდებულებამ „სიუბების საზოგადოებასთან“, მისი, როგორც საზოგადოების გარდამქმნელი აქტიური ძალის პარალიზება გამოიწვია და იგი ახალგაზრდობამ შეცვალა.

„ახალი მემარცხენეები“ არ მონათესაო ტექნიკური, მომხმარებელი საზოგადოება, მათთვის ეფინება და მათთვის მოითხოვს კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას.

„ახალი მემარცხენეები“ არ მონათესაო ტექნიკური, მომხმარებელი საზოგადოება, მათთვის ეფინება და მათთვის მოითხოვს კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას.

„ახალი მემარცხენეები“ არ მონათესაო ტექნიკური, მომხმარებელი საზოგადოება, მათთვის ეფინება და მათთვის მოითხოვს კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას.

„ახალი მემარცხენეები“ არ მონათესაო ტექნიკური, მომხმარებელი საზოგადოება, მათთვის ეფინება და მათთვის მოითხოვს კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას.

„ახალი მემარცხენეები“ არ მონათესაო ტექნიკური, მომხმარებელი საზოგადოება, მათთვის ეფინება და მათთვის მოითხოვს კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას.

„ახალი მემარცხენეები“ არ მონათესაო ტექნიკური, მომხმარებელი საზოგადოება, მათთვის ეფინება და მათთვის მოითხოვს კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას.

„ახალი მემარცხენეები“ არ მონათესაო ტექნიკური, მომხმარებელი საზოგადოება, მათთვის ეფინება და მათთვის მოითხოვს კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას.

„ახალი მემარცხენეები“ არ მონათესაო ტექნიკური, მომხმარებელი საზოგადოება, მათთვის ეფინება და მათთვის მოითხოვს კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას.

„ახალი მემარცხენეები“ არ მონათესაო ტექნიკური, მომხმარებელი საზოგადოება, მათთვის ეფინება და მათთვის მოითხოვს კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას.

„ახალი მემარცხენეები“ არ მონათესაო ტექნიკური, მომხმარებელი საზოგადოება, მათთვის ეფინება და მათთვის მოითხოვს კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას.

„ახალი მემარცხენეები“ არ მონათესაო ტექნიკური, მომხმარებელი საზოგადოება, მათთვის ეფინება და მათთვის მოითხოვს კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას.

„ახალი მემარცხენეები“ არ მონათესაო ტექნიკური, მომხმარებელი საზოგადოება, მათთვის ეფინება და მათთვის მოითხოვს კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას.

„ახალი მემარცხენეები“ არ მონათესაო ტექნიკური, მომხმარებელი საზოგადოება, მათთვის ეფინება და მათთვის მოითხოვს კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას.

„ახალი მემარცხენეები“ არ მონათესაო ტექნიკური, მომხმარებელი საზოგადოება, მათთვის ეფინება და მათთვის მოითხოვს კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას, კერძოდ, კონტრაქტუარის შექმნას.

ქალბატონი ქეთევანი ცდილობს თავის საქმიანობაში ჩააბას იტალიაში მცხოვრები სხვა ჩვენი თანამემამულენი. მისი უშუალო იტალიაში მცხოვრებ ქართველთა ასოციაცია „წმინდა გიორგის ფარი“, რომელიც ინტენსიურ მუშაობას აწარმოებს იტალიის საქმიან წრეებთან კონტაქტების ორგანიზაციის სფეროში. ამ ძველ საქმეში მადლობას იმსახურებს ჩვენი სხვა თანამემამულის ბატონი აიმონე მესისი დიდი აქტივობა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ იმყოფებოდა ჩვენთან მოკლე ვიზიტით.

საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევით ახლო მომავალში ქალბატონი ქეთევანიც აწვევა საქართველოში.

საბარაო საგანგებო საინფორმაციო უწყისის პრესის განყოფილება

საბარაო საგანგებო საინფორმაციო უწყისის პრესის განყოფილება

საბარაო საგანგებო საინფორმაციო უწყისის პრესის განყოფილება

საბარაო საგანგებო საინფორმაციო უწყისის პრესის განყოფილება

საბარაო საგანგებო საინფორმაციო უწყისის პრესის განყოფილება

საბარაო საგანგებო საინფორმაციო უწყისის პრესის განყოფილება

საბარაო საგანგებო საინფორმაციო უწყისის პრესის განყოფილება

საბარაო საგანგებო საინფორმაციო უწყისის პრესის განყოფილება

საბარაო საგანგებო საინფორმაციო უწყისის პრესის განყოფილება

საბარაო საგანგებო საინფორმაციო უწყისის პრესის განყოფილება

საბარაო საგანგებო საინფორმაციო უწყისის პრესის განყოფილება

საბარაო საგანგებო საინფორმაციო უწყისის პრესის განყოფილება

საბარაო საგანგებო საინფორმაციო უწყისის პრესის განყოფილება

ნუ შევპაჭრით ფრთებს ქართველ ახალგაზრდებს

აპიკანია, ყველამ კარგად ვიცით, ამ საუკუნის პირველი ნახევრისა, რომელიც ყველაზე მძიმე და დრამატულ სურათს ხატავს საქართველოს ისტორიაში. მიუხედავად იმისა, საუკუნის დასაწყისშივე ჩნდებიან პირველი ქართველი მფრინავები და კონსტრუქტორები, ისეთები როგორც იყვნენ — ქებურია, მაკავარიანი, შიშკაშვილი, ბერიშვილი (ბერივე)...

მიმდევრულად უხსნებოდათ მოლაპარაკება პირველი ქართველი მფრინავების მიუხედავად არცთუ ისე შეძლებული ცხოვრებისა, ქებურია ამ გაუქმდა თავისი უძრავი და მოძრავი ქონება, გაემგზავრა საფრანგეთში, შეისწავლა მფრინავის სპეციალობა და დაუბრუნდა სამშობლოს, იმ დროისათვის იაფფასიანი, მოძველებული, საკუთარი თვითმფრინავით, რითაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ ეროვნულ ავიაციას. ომის პერიოდში მრავალი ქართველი შევიდა რუსეთის სურსათის, მსხვერპლთა ერთად ქართველმა მფრინავებმაც არაერთი დიდებული ფურცელი შემაგეს ჩვენი საბრძოლო ხელოვნების ისტორიას.

50-იან წლებში ქართული დივიზიების დაშლის შემდეგ ჩაქრა უკანასკნელი ვერა, რომელიც როგორც კიდევ ახერხებდა ქართველ სამხედროთა აღზრდას და მხედრობის სულისკვეთების შენარჩუნებას. იმავე დროს თბილისში დაიწყო ბაქოს ქუჩაზე მდებარე საავიაციო სასწავლებელი. დასამართლად ქართველ მფრინავთა სკოლა და უკვე შექმნილი ტრადიციები, წარსულს ჩაბარდა ქართველ შეარჩენთა განსაკუთრებული ხელოვნება, ხოლო მათთან ერთად ჩვენი ეროვნული საავიაციო კადრებიც შეკარდა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა; საჭი დღესაც საავიაციო მდგომარეობაშია. დღეისათვის რესპუბლიკაში მფრინავთა საერთო რაოდენობის მხოლოდ ათი პროცენტია ქართველი...

საქართველოს რესპუბლიკის და მოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მრავალზე მრავალი რამ სრულიად თავიდან უნდა დაეწყათ, მათ შორის, საფრენოსნო საქმეც.

1990 წელს ქ. ახმეტაში, მაშინდელი დოსაფის სისტემაში ჩამოყალიბდა საავიაციო ტექნიკური საბრტული კლუბი. როგორც მრავალი რამ, რაც საქართველოში გაკეთებულია ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე, ესეც ერთგვარად წყალბოთით დაიწყო. მხარში ამომდგნენ ყოფილი სამხედრო მოსამსახურე, ავიაციის ინჟინერი ბატონი ჭემალ შარშიაშვილი, ახმეტის №130 პროფსაწავლებლის დირექტორი ბატონი ზაურ ჭიჭიშვილი, პროფესიონალი მფრინავები — საქმის ერთგული და პატიოსანი კაცი აბაკარ მაგომელოვი, ეროვნებით ლეკი და ალექსანდრე მილაშვილი. ჩვენი უმთავრესი მიზანი იყო წამოწყობა ახალი თაობის ქართველ მფრინავთა კადრები. ყველა საორგანიზაციო საკითხი უცხად გადაწყვედა, როგორც ეს ხდება არა ზემოდან მოსული რაიმე დირექტივის, არამედ სურვილისა და საქმისადმი სიყვარულის წყალობით. იმთავითვე ვხედავდით №130 პროფსაწავლებლისა და ავიაციის ბაზაზე საავიაციო სასწავლებლის შექმნის პერსპექტივასაც. პირველი ნაბიჯები უცხად გადაიდგა — ორასამდე ახალგაზრდიან ამოვარჩინეთ კანდიდატები — 23 კურსანტი და 7 საორტსმენი. კურსანტები ძირითადად არასრული საშუალო განათლების მქონე ყმაყვილები არიან, რომლებიც ბოლო კლასების დისციპლინებს საფრენოსნო საქმესთან ერთად აითვისებენ. შეცდინებდა დაიწყო 1990 წლის ოქტომბრის თვეში. ამჟამად შევეუბნებინე მფრინავებს ვაშბა-

დებთ. სწავლის კურსი საშუალოა. პერსპექტივაშია შემდეგი პროფილის ჯგუფები — ავიამექანიკოსთა, რადიოტექნიკოსთა, რადიოტექნიკოსთა და სააპარატურ მომზადებისა.

გულსაწყვეტია, ავიაციას კვნიდა ხუთი შევეუბნებინე „მი-2“, ავიობარკის შეგების მაგიერ დღეისათვის შემოგვრჩა სამი, ისიც გაუმართავი. მაშინ როდესაც ნორმალური მუშაობისათვის საჭიროა სულ მცირე ათი „მი-2“ და ოთხი „მი-8“ ტიპის შევეუბნებინე. მიუხედავად დაპირებებისა, ავიაციას დღემდე არავინ აფინანსებს. 1990 წლის აპრილიდან ვმუშაობთ ანაზღაურების — ხელფასის გარეშე. ზოგიერთ „ენტუზიასტს“ გული აუტრუვდა, გვილატა და მიგვატოვა, სუსტი ნებისყოფის პიროვნებისაგან მეტს არც უნდა მოველოდეთ.

აქ არ შემიძლია არ ვახსენო დასალოცე საქართველოში მომხდარი მიწისძვრა — ღმერთმა დაგვიფაროს ყოველივე მსგავსი სტიქიური უბედურებისაგან, მაგრამ თუ რაოდენ შეუცვლელია ასეთ შემთხვევაში შევეუბნებინე, ყველას კარგად გავსმის, განსაკუთრებით კი მთიან რეგიონში. 30 აპრილს დასახმარებლად (ჩვენ კი არავინ გვეხმარება) სახმარისად სასწრაფოდ გაგვავანე ორი შევეუბნებინე. რვა მაისამდე შესრულდა სამოცდაათი საფრენოსნო საათი, ეს კი კარასტროფის ადგილებიდან გამოყვანილი ათეულობით ქალი და ბავშვია, უამრავი მიწოდებული სურსათი და მედიკამენტი.


საქართველოში დღეისათვის მხოლოდ ორი საავიაციო კლუბი არსებობს, თბილისში და ახმეტაში, ხოლო ჩვენი ერთადერთი დიდებული არსებობისათვის ემზადება და საავიაციო საქმეს დღესევე უნდა მიექცეს ყურადღება. ვფიქრობ, დროა ავიაციას სასწავლებლის სტატუსი მიეცეს და შეექმნას არსებობისათვის მყარი პირობები. ეს ნაბიჯი გადათქვამდა ენთუზიასტს, რომლითაც დღეს მთელი ჩვენი ოლქი სულდამულობს, რესპუბლიკის ახალგაზრდობასაც დაინტერესებდა რთული და პრესტიჟული საქმიანობა. უკვე არსებულ ბაზაზე წარმოქმნილი ასეთი სასწავლებელი სულ რაღაც ორ წელიწადში შეიქმნას — პირველ რიგში კი რესპუბლიკის ეროვნულ გვარდიას, მთლიან კლასის შევეუბნებინე მფრინავებს აღზრდის.

ამირან მახვილიძე, ახმეტის საავიაციო საბრტული კლუბის უფროსი.



ღარბის მართვის პრინციპულად ახალი სისტემა

„ვაზი და ღვინო შევლას ითხოვს“, ამ სათაურით გახეთმა „თავისუფალი საქართველო“ მიმდინარე წლის 8 ივნისის ნომერში გამოაქვეყნა სრულიად საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა კავშირის თავმჯდომარის ბან მერაბ ზაურაშვილის სტატია, რომელშიც ავტორი მევენახეთა-მეღვინეთაში შექმნილ დღევანდელ მდგომარეობას და მისი დაძლევის პერსპექტივას ხეხება. ვინაიდან რედაქცია თხოვს ღარბის ბელ-ბელდით დაინტერესებულ პირებს სათანადო გამომხატვას, უფლებას ვაძლევ ჩემს თავს, გამოვთქვა მოსაზრება მევენახეთა-მეღვინეთაში მართვის იმ სისტემაზე, რომელიც ჩემი რწმენით, განსაზღვრავს საქართველოს ეკონომიკის ამ სტრატეგიული დარგის ხვალისდელ დღეს.



ქართველი ხალხის მატერიალური სიძლიერის ერთ-ერთი ძირითადი წყარო მევენახეთა-მეღვინეთაა. ქვეყნის ბუნებრივი კლიმატური პირობებიდან და ტრადიციებიდან გამომდინარე იგი კვლავაც შეინარჩუნებს წამყვან როლს ქვეყნის ეკონომიკაში. ბოლო წლებში ჩატარებულმა სოფლის მეურნეობის გაუთვებელმა რეორგანიზაციებმა, სამინისტროების შეერთებამ-გაყოფამ სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო ორივე დარგი. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით მიზანშეწონილად მიმაჩნია შემუშავდეს ამ ორი დარგის მარ-

თვის პრინციპულად ახალი სისტემა. საჭიროა ამ დარგების არა ზემოდან უწყებებს გაერთიანება, არამედ მევენახეთა-მეღვინეთაში პირველადი რგოლების შეერთება, მათი ერთ მთლიან მექანიზმად ფუნქციონირება. გამორიცხული არ არის ამ დარ-

გების შეერთების საკითხის დაყენებამ ორივე დარგის გარკვეულ წრეებში წინააღმდეგობა გამოიწვიოს, რადგან მევენახეთა სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით მომგებიანია, მეურნეობისა თუ კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს ამ დარგის ხელრიდან გაშვება არ აძლევს ხელს. რაც შეეხება მეღვინეთის საწარმოებს, მათ არ სურთ ზედმეტი შრომისა და პასუხისმგებლობის თავისთავზე აღება. მათი ძირითადი საზრუნავია რთველის პერიოდისათვის ღვინის ქარხნების მომზადება და იმ ნედლეულის შეუფერებელი გადამამუშავება, რასაც მევენახე მოიწვეს. გამომდინარე აქედან, ვფანისა და მევენახის ბელი მათ ნაკლებად აწუხებთ.

მევენახეთა-მეღვინეთაში შემდგომი განვითარებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიმაჩნია:

მეღვინეთის ქვედარგების (ღვინო, შამანიური, კონიაკი, ლიქიორ-არაყი), აგროსამრეწველო ფორმებად ჩამოყალიბება. აღნიშნულ ქვედარგებში უნდა გაერთიანდნენ საქართველოში არსებული ქარხნები თავიანთი წარმოებული პროდუქციის მიხედვით. ამავე ფორმებს უნდა გადაეცეთ (უსასყიდლოდ ან მიყიდლოდ) შესაბამისი ვენახის ფართობები, რომელთა მოვლა-პატრონობა აღნიშნულმა ფორმებმა

უნდა იქნებოდნენ. მათ სამსოფლიო ეკონომიკური სტიმულირების საშუალებები აქვთ. სწორედ ვენახის მოვლა-პატრონობის დონე იქნება ამ ფორმების ეკონომიკური განვითარების ქვეყნობის ვინ, თუ არა მეღვინე და მევენახე უნდა ერთობლივად გაიზარდოს მიზანდასრულებული ვაზის აღორძინება შემდგომში. სწორედ მათ უნდა გააგრძელოს შესაფერის ფართობებზე იმ ჯიშების ვაზი, რომელიც მათი წარმოებისათვის იქნება საჭირო და ამით ბოლო მოეღოს უნიკალური ვაზის ჯიშების გადაშენებას.

აგრეთვე უნდა ფორმების ზელომდგენლობა განსაზღვრავს ამა თუ იმ რეგიონში ღვინის დამამუშავებელი თუ ჩამომსხმელი ქარხნების ყოფნის მიზანშეწონილობას, რაც ხელს შეუწყობს ძირითადი საშუალებების გამოწვავის უფლებას, ელექტროენერჯისა და სხვა დამამრე მასალების ეკონომიას, ეკოლოგიურ სიწმინდეს, გამოშვებული პროდუქტის ასორტიმენტსა და ტექნოლოგიური პროცესების მართებულად წარმართვებზე კონტროლის დაწესებას.

იმისათვის, რომ აღნიშნული ფორმების სამეურნეო განვითარების სტრატეგიული მიმართულება შესაბამისად რეგულირდეს სასაბურთეო კომპლექსის მოთხოვნებს, გარკვეული პერიოდით შეიქმნას



მაკორდინებელი ორგანო რესპუბლიკური გაერთიანების სახით, რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება: დარგის პერსპექტიული დაგეგმვა, სამეცნიერო ტექნიკური პროგრესისა და ახალი ტექნოლოგიის დანერგვა, მეღვინეობის ქვედარგების (ღვინო, შამპანური, კონიაკი, ლიკიორ-არაყი) სტრატეგიული ზონების ჩამოყალიბება და საბაზრო მექანიზმების მოთხოვნების შესაბამისად მათ შორის განსაზღვრული კონკრეტული შენაძრების პირობების შექმნა, ნებაყოფლობითი სავაჭრო ფორმების დანერგვისა და პრივატიზაციის ხელშეწყობა, სახელმწიფო შეკვეთებისა და პირდაპირი საბაზრო შეკვეთების ობტინალური თანაფარდობის სტრატეგიული მართვის ორგანიზაცია.

ახლად შექმნილი ფორმების სამეურნეო მექანიზმის დახვეწის შემდეგ, არსებული რესპუბლიკური გაერთიანება შეწყვეტს თავის ფუნქციონირებას და ფორმებს საშუალებას მისცემს ავტონომიურად მართონ, განკარგონ და გამოიყენონ თავიანთ გამგებლობაში არსებული საკუთრება, თანასწორუფლებიან საფუძველზე დაამყარონ სხვა ქვეყნებთან სამეურნეო ანგარიშობის ურთიერთობა და საავტონომიურო შემოსავლის ნაწილი, როგორც „მრავალი მავალი — თავისუფალი საქართველოს“ პროგრამაშია მითითებული — „აქედანვე შეიქმნის სპეციალური ანგარიში რომელიმე უცხოურ ბანკში, რათა დამოუკიდებლობის დროს ამ რესურსებმა კონტინენტის ქვეყანაში მისი ცენტრალური ბანკი უცხოური ვალუტის მინიმალური საწყისი მარაგით“.

მარტენ შვარცკი,
სამრეწველო-სავაჭრო ფორმის „ენისხეობის“ მთავარი ინჟინერი, ტექნიკური შენეარებათა კანდიდატი.

ალექსანდრე ჯინჭარაძე ეპოქანოდა ჩვენს თანამედროვეთა იმ სახელოვან კოპორტას, რომელმაც თავისი მხედრული მოღვაწეობით შორს გაუთქვა სახელი მრავალსაუკუნოვან ქართულ სამხედრო ხელოვნებას, ქართულ გენს; კოპორტას, რომლის თითოეული წარმომადგენელი მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე მალა ატარებდა ქართულ ეროვნულ მეობასა და თვითშეგნებას, სამოუკიდებელი საქართველოს დამფუძოვან დროს.

ალექსანდრე ღვინის ძე ჯინჭარაძე დაიბადა 1898 წელს ოზურგეთში, ინტელიგენტურ ოჯახში. პირველდაწყებითი განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში, სადაც სხვა ცნობილ პედაგოგებთან ერთად მას ასწავლიდა დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვასილ ბარბოვი. გიმნაზიაში მის მეგობართა შორის იყვნენ შემდგომში ცნობილი მეცნიერი აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი და 1918 წელს თურქ ასეგრებთან ბრძოლაში დაღუპული ნიკიერი ქართველი პოეტი გრიგოლ მეგრელიშვილი („მთის ნიავი“).

პირველმა მსოფლიო ომმა ალ. ჯინჭარაძეს გიმნაზიის მერსზე მოუსწრო. 1916 წელს იგიც ვაიჭვივის ჯარში და კავკასიის ფრონტზე განაწესეს. თავისი გამგებლობით მოკლე დროში გათქვა სახელი, რასაც აღსატურებს მის მიერ 1916 წლის დამლევის მიღებული წმ. გიორგის ჯვარი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებისთანავე კავკასიის ფრონტზე მყოფ სხვა თანამემამულეებთან ერთად მან თბილისის მოაზურა და 1918 წლის დამლევის ჩარიცხულ იქნა ქართველ ოფიცერთა (იუნკერთა) ახლად დაარსებულ სამხედრო სკოლაში, კაპიტან ნომარაიას მესამე მწყობრში.

სამხედრო სკოლის დამთავრებამდე მცირე ხნით ადრე მოუსწრო მას რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომში; სხვა იუნკრებთან ერთად იგიც გვირუკით იბრძოდა კოჭორთან და ტაბახმელისთან.

საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის შემდეგ იუნკერთა სკოლის შემადგენლობის უდიდეს ნაწილთან ერთად ალ. ჯინჭარაძეც იძულებული გახდა დაეტოვებინა საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილ-დაყმევებული საქართველო.

გამოჩენილი ქართველი სამხედ-

ლევან უკუხაძე

ალექსანდრე ჯინჭარაძე

რო მოღვაწის, პოლკოვნიკ (შემდეგში პოლონეთის ეროვნული არმიის გენერალი) ალექსანდრე ჩხეიძის ხელმძღვანელობით იუნკრებით თურქეთს გაიხიზნენ. სწორედ იქ, სტამბოლში გადაწყდა ხუთი ყოფილი იუნკრის: გიორგი ოდიშელიძის, ნიკოლოზ (უკუხაძე) თოხაძის, ივანე ვანაძის, ალექსანდრე ჯინჭარაძისა და ალ. კინჭურაშვილის უმაღლესი სამხედრო განათლების მისაღებად საფრანგეთში წარუგზავნა. გარდა ამისა, 13 იუნკერი ჩარიცხულ იქნა ათინის (საბერძნეთი) სამხედრო სასწავლებელში. სკოლის შემადგენლობისა და უფროს ოფიცერთა უდიდესი ნაწილი კი მარშალ პილსუდსკის მიწვევით პოლონეთში გადავიდა.

1921 წლის სექტემბერში იუნკერთა ხუთეულმა დატოვა სტამბოლი და გემით მარსელოში გადავიდა. ხუთივე ჯერ „სენ-მესანი“-ს ცნობილ სამხედრო სკოლაში ჩარიცხა. შემდეგ რადენიმეში, მათ შორის ალ. ჯინჭარაძე „სენ-სი-რი“-ს სასწავლოთაოდ ცნობილი აკადემია დაასრულა.

1923 წელს უცხოური ლეგიონის უმცროსი ლეიტენანტი ალექსანდრე ჯინჭარაძე ფონტენებლოში, ცნენოსან არტილერიის უმაღლეს სკოლაში მიაღწიეს.

1926 წელს ჩვენი თანამემამულე ჩარიცხეს საფრანგეთის უცხოური ლეგიონის მეოთხე პოლკში, რომელიც მაროკოში იყო განლაგებული. ამ დროს მას ლეიტენანტის წოდება ჰქონდა მინიჭებული; აქ იგი ცნენოსან ათსეულში, ესკადრონის მეთაურად მსახურობდა.

1930 წელს ჩვენი თანამემამულე მეორე ცნენოსან პოლკში გადაყვანეს, სადაც ქართველი კაპიტანი კვლავ ესკადრონის მეთაურად განამსწესეს. აქ, მაროკოში იგი აქტიურად მონაწილეობდა დიდი ატლასისა და სამხრეთ ალჟირის საზღვარზე წარმოებულ სამარ ოპერაციებში. მაროკოში

დარჩა ალ. ჯინჭარაძე 1940 წლამდე. ხსენებულ წელს უცხოური ლეგიონის მაიორი უკუე ცნენოსან ათსეულს მეთაურობდა.


გერმანია-საფრანგეთის 1940 წლის ომის დროს ჩვენი თანამემამულე ტყვედ ჩავარდა, მაგრამ მალე გაათავისუფლეს და კვლავ მაროკოში გაგზავნეს. აქ დარჩა იგი მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე და აქტიური მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა მნიშვნელოვან საბრძოლო ოპერაციაში.

1948 წელს საფრანგეთის არმიის მაიორი ალექსანდრე ჯინჭარაძე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო ნაწილებში იქნა მიწვეული. „გაერო“-ს ვედიდით, ათსეულის მეთაურად მსახურობდა იგი ქაიროში, ბეირუტსა და იერუსალიმში.

1952-1954 წლებში კოლონელი ალ. ჯინჭარაძე მსახურობდა აფრიკულ პოლკის მეთაურად ავსტრალიაში, გენერალ ბეტუარის საარმიო დაჯგუფებაში.

1955-1962 წლებში მას ხელმძღვანელი თანამდებობა ექირა ნიუ-იორკში ლუი. დრეიფუსის ასოციაციაში. ამის შემდეგ, თადარიგში გასულმა, მთელი თავისი ენერჯია ამერიკის შეერთებული შტატების ქართველთა სათვისტომოს, ჩვენს ლიტოლელ თანამემამულეთა კეთილდღეობას მოახმარა: იყო სათვისტომოს გამგეობის უცვლელი წევრი და პასუხისმგებელი მდივანი. მის მიერ აღწესდულ იქნა აშშ-ში მცხოვრები ყველა ქართველი ლტოლვილი და შედგა მათი სრული სია, რამაც დიდად შეუწყო ხელი ამერიკის ქართველთა შეკავშირებას.

აქვე უნდა აღინიშნოს მისი, როგორც „ქართველ იუნკერთა კავშირი“-ს გამგეობის უცვლელი წევრის, უცხოური ლეგიონის ამხანაგობისა და ლეგიონის ვეტერანთა კომიტეტის საპატიო წევრის, დაუღალავი მოღვაწეობა.



1963 წელს ნიუ-იორკში, უცხოური ლეგიონის ასო. წლისთავისადმი მიძღვნილ თავყრილობაზე გენერლებთან — მიკელთან, ოლიესთან და პენეტთან ერთად ალ. ჯინჭარაძე იყო ლეგიონის ოფიციალური წარმომადგენელი და სიტყვაც წარმოთქვა საუბრობო სტომაზე. ეს ნაილად მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენი ავტორიტეტით სარგებლობდა იგი საფრანგეთის მთელს უცხოურ ლეგიონში.

20-30-იან წლებში იგი იყო ქართველ იუნკერთა კავშირის ქურნალის „მხედარი“-ს საარედაქციო კოლეგიის წევრი (ქურნალი გამოდიოდა პარიზში - მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე).

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, ალექსანდრე ჯინჭარაძე გზლდათ ქართული ემიგრანტული პერიოდული პრესის მუდმივი ფანაშკრობელი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი დამსახურება ქურნალ „კავკასიონი“-სა და გაზეთ „ქართული აზრი“-ს გამოცემის საქმეში.

ხანგრძლივად და დაუღალავად მხედრული მოღვაწეობისათვის მიღებული ჰქონდა საფრანგეთის რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და „შედეა“-ს არაერთი მაღალი ჯილდო, მათ შორის უცხოური ლეგიონის რამდენიმე საპატიო ჯვარი, „საპატიო ლეგიონი“-ს ოფიცის ორდენი და ა. შ.

გარდაიცვალა ალექსანდრე ჯინჭარაძე 1970 წელს, 72 წლის ასაკში. იგი მხედრული პატივით მიაბარეს ნიუ-იორკის ერთ-ერთი სასაფლაოს მიწას.

გაზეთ „თავისუფალი საქართველო“ რედაქციას

ამაგენი, „ერთი სოფლის ფოლკლორი“, „ათი ხალხური სიმღერა“, „ხალხური სიმღერის ოსტატები“, „ლექსი, ნუ დიაგრები“, „ხალხური მუსიკის მოამბეები“, „სიმღერის გაკვეთილები“, და სხვა მრავალი.

ჯერ კიდევ 7-8 წლის წინ ხალხურმა რედაქციამ გადასცა ქაქუცი ჩილია-შვილის შედევრული რაზმის წევრის მზა ხელაშვილისა და ადამ ბობიაშვილის ლექსები, ცხადია, გვარგუნი მოუხსენებლად. თანამოცემად წელს მომზადდა გაგზავნა პირობებში გადაცემები, რომლებიც ტელევიზიის მიხედვით ხელმძღვანელობამ და ჩეხა და 5-6 თვით დააპატრონა.

რედაქცია ამის მერვე ძველ გზას აგრძელებდა, მაგრამ 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ სხვა რედაქციებსაც აენახა ბოროლი და ხალხური რედაქციის ეროვნული შემართება თითქოს ჩრდილში მოექცა, თუმცა, ეროვნული ფოლკლორის პროპაგანდა უმნიშვნელო საქმედ, ალბათ, არ ჩაითვლება. დღეს კი ეს რედაქცია აღარ არსებობს. მისი დამლის მიზეზად ასახლებენ:

- 1. ტელევიზიის ახალ სტრუქტურებზე გადაყვანასთან დაკავშირებით რედაქციების გამსხვილება.
- 2. ხალხური რედაქციის მუშაკთა შემცირება (ბოლო დროს რედაქცია რამდენიმე თანამშრომელმა დატოვა).
- 3. ხალხური რედაქციის მიერ მომზადებული გადაცემების თითქოსდა ქართველ ხალხს შეაძულეს ხალხური სიმღერა.
- 4. რა შეიძლება ამ არაუმენტების შესახებ ითქვას?
- 1. ყველაზე, და მათ შორის ხელოვნებაშიც, პერსპექტიულად ითვლება დარგობრივი განვითარება. ამ საყაროში ხომ ყველას და

ყველაფერს მთელსაგან დამოუკიდებლად, მაგრამ საერთო კანონზომიერებიდან გაუსვლელად განვითარების უფლება აქვს. ე. ი. სხვა დარგებთან მიერთებულმა ხალხურმა ხელოვნებამ შეუძლებელი უფრო კარგად შეასრულოს თავისი ფუნქცია, ვიდრე ამას ცალკე შეძლებდა.

2. რედაქციის მუშაკთა შემცირებაში თვით რედაქცია არაფერ შეუძლია, განა უფრო ობიექტური არ იქნებოდა მისი შევსება და განლაშისება პროფესიონალებით? საამისო ძალები საქართველოს საკმაოდ ჰყავს.

3. თუ რედაქციის მიერ მომზადებულმა გადაცემებმა ქართველ ერს ხალხური სიმღერა შეაძულეს, მაშინ რედაქცია მარტო დასამოწმელი კი არა, მისი თანამშრომლები ერის მოლაპარაკებე ყოფილან და საკადრისი უნდა მიეზოთ, მაგრამ განცხადებაში არ ჩანს რა საბუთს ემყარება ესოდენ მძიმე ბრალდება. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ მიმართებით საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა არ ყოფილა. სპირობა კია, მართლაც ვიცოდეთ ხალხის აზრი.

ჩემი დასკვნა ამასთან დაკავშირებით ასეთია:

- 1. კატეგორიულად არ ვეთანხმები ხალხური რედაქციის გაუქმებას, მიმანაში, რომ ეს შეცდომაა, რომელმაც შეიძლება წინა მოუტანოს ხალხურ ხელოვნებას და მის გამოსასწორებლად მომავალში განსაკუთრებული ძალისხმევა განდება საჭირო.
- 2. ტელევიზიაში დამოუკიდებლად თუკი რომელიმე რედაქცია უნდა არსებობდეს, ერთ-ერთი მათგანი ხალხური უნდა იყოს.
- 3. მაშინ, როცა საქართველოს ხელისუფლებაში ეროვნული ძალები მოვიდნენ და ყოველივე

მშობლიურს სხვა ფასი დაედო, კომუნისტური რეჟიმის დროს შექმნილი ეროვნული პროფილის რედაქციის გაუქმება შეცდომაზე მეტია (რომ არ ყოფილიყო, ახლა უნდა შექმნილიყო).

4. სამწუხაროა კომუნისტური მეტოდეების გამოყენება (გაუქმებისას საერთოდ უგულვებლყოფილი იყო რედაქციის მუშაკთა აზრი).

5. ორად გზზნეხილი და სხვა რედაქციებს მიერთებული ეროვნული ფოლკლორი გერის როლში მოგვეგონება, რომელსაც თავისი ადგილი არა აქვს.

6. მეჩვენება, რომ საქართველოს ტელევიზია თავის სახეს კარგავს... უცხოური ესტრადი და კინოპროდუქცია ულმობლო ურდოსავეთ მოიწიეს და ჩვენ ამ უზარმაზარი დამპყრობლის პირისპირ უფარალოდ, მიშველი ხელებით ვლავავართ. ერთ-ერთ მძღვარ იბრალს — ეროვნულ ფოლკლორს — როგორც ჩანს, ტელევიზიის ხელმძღვანელობა ანგარიშს არ უწყეს.

7. თუ ასე გაგრძელდა, ხომ არ გვემეტრება კულტურული მონობა?

8. დამბოლოს: წერილი განაწყნებული კაცის მიერ ცხელ გულზე დაწერილი საჩივარი არ ბრისის უფრო გულისტყვილისა და იმედგაცრუების ნაყოფია. ჭიროხველი ხალხის გამოღვიძების დროს მსგავსი ფაქტი შეუწყნარებელია. ამით მოგებული არავინ იქნება. მე არაფერს არ ვთხოვლობ. ამ წერილით მსურდა ერთი საქმის არის გამეცხო, ქეშმართება გამომეშვეურებინა...

უღრმესი პატივისცემით ტელევიზიის ყოფილი ხალხური შექმნელის მთავარი რედაქციის უფროსი რედაქტორი
მანო ბერიძე

